

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტსა და 2019-2022 წლების პრიორიტეტებზე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო მამუკა,

წარმოგიდგენთ განსახილველად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის და 2020-2022 წლების ბიუჯეტის პროექტსა და პრიორიტეტების მაჩვენებლებს.

როგორც მოგეხსენებათ, დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში, საბიუჯეტო კოდექსსა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინებით, არსებითად იცვლება მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემა. კერძოდ, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათანაბრებით ტრანსფერს და საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა სახეებიდან მისაღებ შემოსავლებს ჩაანაცვლებს დღგ-ის სახით მიღებული შემოსავლის 19.0% მთლიანი მუნიციპალიტეტების მიხედვით, რომლის პროცენტული განაწილება ცალკეული მუნიციპალიტეტებისათვის მოხდება „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონის პროექტით განსაზღვრული 71-ე და 114⁵ -ე მუხლების შესაბამისად და რიგი პარამეტრების გათვალისწინებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტისათვის შეადგენს 2.42%-ს.

ზემოაღნიშნული სქემით, დაფინანსების ახალი სისტემის შესაბამისად 2019 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის მისაღები საპროგნოზო მაჩვენებელი დამატებითი ღირებულების გადასახადიდან საორიენტაციოდ შეადგენს 22,888.2 ათას ლარს, (რომელიც შეიძლება დაკორექტირდეს დამატებული ღირებულების გადასახადის საკასო შემოსავლის მიხედვით) რაც 1,000.3 ათასი ლარით აღემატება მიმდინარე წელს გათანაბრებითი ტრანსფერის და საშემოსავლო გადასახადიდან მისაღებ შემოსავლებს (19,187.9 + 2,700.0=21,887.9 ათასი ლარი).

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან რომ არა არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლების ნაკლები ოდენობით პროგნოზირება 2019 წლისათვის იქნებოდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზრდის შესაძლებლობა.

თუმცა იმედის მომცემია მომავალ წლებში დღგ-ს გადასახადიდან მისაღები შემოსავლების მზარდი მოცულობა. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის

საშუალოვადიანი პროგნოზირებისა და საბიუჯეტო კოდექსის პროექტით განსაზღვრული რეგულაციების გათვალისწინებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ 2020-2022 წლებში მისაღები დამატებული ღირებულების გადასახადის პროგნოზი შეადგენს:

2020 წელს 24,719.2 ათას ლარს;

2021 წელს 26,820.4 ათას ლარს;

2022 წელს 29,234.2 ათას ლარს.

აღნიშნული საპროგნოზო მაჩვენებლების მიხედვით ბიუჯეტის მოცულობა გაიზრდება არანაკლებ

2,800.0 ათასი ლარით 2020 წლისათვის;

4,900.0 ათასი ლარით - 2021 წლისათვის;

7,300.0 ათასი ლარით - 2022 წლისათვის.

ზემოაღნიშნული საპროგნოზო მაჩვენებელი ცხადია არსებითად შეცვლის, გააუმჯობესებს და გაზრდის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მოცულობას და შესაბამისად გაცილებით უკეთ დააკმაყოფილებს მუნიციპალიტეტის საჭიროებებს ყველა ცალკეული სფეროსა და დარგის მიხედვით.

2019 და მომდევნო სამი წლისათვის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებია:

- მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლების სფეროს მხარდაჭერა, სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა, სკოლამდელი განათლების ობიექტების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მოწესრიგება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;
- კულტურისა და სპორტის განვითარება, ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტი თან ერთვის.

2019 წლისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საპროექტო მაჩვენებლები იძლევა შემდეგ სურათს:

შემოსულობების ნაწილში

2019 წლისათვის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი მთლიანობაში წარმოდგენილია 34,500.0 ათასი ლარის მოცულობით. მათ შორის:

- 22,888.2 ათასი ლარი შეადგენს დღგ-ს სახით მისაღებ შემოსავალს;
- 6,500.0 ლარი ქონების გადასახადი;
- 1,500.0 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალი;
- 3,261.8 ათასი ლარი პროგნოზირდება სხვა შემოსავლებიდან. აქედან:
 - 550.0 ათასი ლარი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი;
 - 500.0 ათასი ლარი - დასუფთავების მოსაკრებელი;
 - 400.0 ათასი ლარი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის მოსაკრებელი;
 - 300.0 ათასი ლარი - მიწის იჯარიდან შემოსავლები;
 - 200.0 ათასი ლარი - სანებართვო მოსაკრებელი;
 - 1,100.0 ათასი ლარი - სხვადასხვა სახის ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლები;
 - 50.0 ათასი ლარი - სარგებელი დეპოზიტებიდან;
 - 1.0 ათასი ლარი - სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი;
 - 60.8 ათასი ლარი - სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი
 - 100.0 ათასი ლარი - შემოსავლები მომსახურების გაწევიდან. (შენობის იჯარა).
- 350.0 ათასი ლარის ოდენობით მიზნობრივი ტრანსფერი მიიმართება დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად; დელეგირებულ უფლებამოსილებებს განეკუთვნება „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „სამხედრო ვალდებულებების და სარეზერვო სამსახურის შესახებ“, „იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ“, „ომის ვეტერანთა შესახებ“ და სხვა კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსება. ნიშანდობლივია, რომ ზემოდასახელებული დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი არასაკმარისია და შევსება ხდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით.

ზემოაღნიშნული შემოსულობის მიხედვით ბიუჯეტის მთლიანი საპროგნოზო მოცულობა 2019 წლისათვის პროექტით წარმოდგენილია 34,500.0 ათასი ლარის ოდენობით, რის მიხედვითაც დაგეგმილია გადასახდელების მოცულობა ბიუჯეტის

ფორმირების საწყის ეტაპზე. წლის განმავლობაში საჭიროებათა გათვალისწინებით მოსალოდნელია ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდოს 15-20 მილიონი ლარის ფარგლებში ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერების თანხებით.

გადასახდელების ნაწილში

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური და ჯანდაცვის სფერო.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური საკითხები ძირითადად ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ადგილობრივ თვითმმართველობას შემუშავებული აქვს რიგი სახის პროგრამები მოსახლეობის სოციალური პრობლემების და ჯანმრთელობის დაცვის გასაუმჯობესებლად. მთლიანობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი უნდა ჩაითვალოს სოციალურად ორიენტირებულ ბიუჯეტად, რამდენადაც ბიუჯეტის სახსრები მიიმართება, როგორც მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელ მოქალაქეთა პირადი სოციალური და ჯანდაცვის პრობლემების მოგვარების საკითხებისათვის ისე ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის (გზები, ხიდები, განათება, წყალმომარაგება და სხვა), სკოლამდელ დაწესებულებათა შენახვის, კულტურისა და სპორტის პროგრამების განსახორციელებლად. აღნიშნული სოციალური პროექტები კი მთლიანად მიმართულია მოსახლეობის საერთო საჭიროებათა განსახორციელებლად, ადამიანების ყოფითი, კულტურული, შემეცნებითი და სხვა მოთხოვნათა უზრუნველყოფისათვის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სოციალური და ჯანდაცვის დარგით გათვალისწინებულია ის პროგრამები და პროექტები, რომლებიც ძირითადად გათვლილია როგორც საერთო საჭიროებებზე, ისე ინდივიდუალურად კონკრეტულ ბენეფიციარებზე, მატერიალური და ფულადი დახმარების მიმღებ პირებზე ჯანდაცვის ღონისძიებებზე.

2019 წლის პროექტით სოციალური და ჯანდაცვის სფეროში გათვალისწინებულია სხვადასხვა პროგრამების განხორციელება, რისთვისაც გამოიყოფა 2,910.0 ათასი ლარი. მათ შორის:

- 550.0 ათასი ლარის გამოყოფა მუნიციპალიტეტში, უკიდურესად მძიმე პირობებში მაცხოვრებელთა ან უსახლკაროდ დარჩენილთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამისათვის. აღნიშნული პროგრამა ეტაპობრივად უზრუნველყოფს საბინაო პირობების მოგვარებას, უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას. პროგრამა განხორციელდება

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესის, დებულების და კომისიის მეშვეობით.

- 160.0 ათასი ლარი - გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამისათვის, რომელიც ითვალისწინებს უმწეო მოსახლეობის მორალურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას. კერძოდ, ყოველდღიურად (გარდა კვირისა) უმწეო მოქალაქეთა უზრუნველყოფას ცხელი სადილით დღეში ერთხელ. სასადილოს ბენეფიციარები იქნებიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირები, რომლებიც იღებენ ფულად დახმარებას ან მოპოვებული აქვთ ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევით სარგებლობის უფლება ასევე მარტოხელა, ან მომუშავე, შშმ პირები და სხვა (260 ბენეფიციარის ფარგლებში). ბენეფიციართა შერჩევა მოხდება წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი კომისიის მეშვეობით.
- 50.0 ათასი ლარი - ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამისათვის, რომელიც ითვალისწინებს ომის ვეტერანთა და მათი ოჯახების ხელშეწყობას:
 - 500 ლარი მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე და 200 ლარი გათანაბრებულ პირებზე ერთჯერადი ფულადი დახმარება ფაშიზმზე გამარჯვების დღის-9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით;
 - 200 ლარიანი ყოველთვიური ფულადი დახმარება პენსიაზე დანამატის სახით სამამულო ომის ვეტერანებზე;
 - ა(ა)იპ „ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ზუგდიდის ვეტერანთა კავშირი“-ს ფინანსური უზრუნველყოფა;
 - 100 ლარი თვეში, ამავე კავშირის თავმჯდომარის მომართვის საფუძველზე ყოველი თვის ბოლო რიცხვებში, მომვლელის საჭიროების მქონე ვეტერანების მოვლის საზღაური;
 - 300 ლარი დაკრძალვის ხარჯების თანადაფინანსება მეორე მსოფლიო ომის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ვეტერანების დაკრძალვის ხარჯების თანადაფინანსება;
 - 1000 ლარის ოდენობით ყოველწლიურად, აგვისტოს თვეში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული, ზუგდიდში რეგისტრირებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა თითოეულ ოჯახზე წელიწადში ერთხელ გარდაცვლილი შვილის სრულწლოვანებამდე.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში მონაწილე პირთა მონაცემთა ბაზის დადგენის შემდგომ ადგილობრივი ბიუჯეტით სოციალური დახმარების პროგრამაში მოხდება შესაბამისი ცვლილების შეტანა.

- 125.0 ათასი ლარი - ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამისათვის, რომელიც ითვალისწინებს მრავალშვილიანი ოჯახების და ახალშობილთა, უმწეო ოჯახების, მარტოხელა დედების, დედ-მამით ობოლი ბავშვების და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერად დახმარებას. სოციალური დაცვისა და რეაბილიტაციისათვის. პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის კუთხით ფულად დახმარებებს წელიწადში ერთხელ მრავალშვილიანი ოჯახებისათვის :
 - 200 (ორასი) ლარით (18 წლამდე ასაკის 4 შვილიან ოჯახს ;
 - 300 (სამასი) ლარით 5 შვილიან ოჯახს და ა. შ.);
 - 200 (ორასი) ლარით პირველი –მეორე შვილის შეძენისას სოციალურად დაუცველ ოჯახებზე (სარეიტინგო ქულა 65 001–ზე ნაკლები) – ნებისმიერი კატეგორიისთვის;
 - 500 (ხუთასი) ლარით ტყუპების შეძენისას;
 - 50 (ორმოცდაათი) ლარი ყოველთვიურად დედ–მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების მეურვეებზე;
 - 50 (ორმოცდაათი) ლარი ყოველთვიურად მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირს, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი, ქორწინების გარეშე და ამჟამად არ იმყოფება ქორწინებაში.
 - 800 ლარი ოჯახური ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება.

- 220.0 ათასი ლარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ონკოლოგიურად დაავადებულ პირთა სოციალური დაცვისა და რეაბილიტაციისათვის. პროგრამის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და მძიმე ონკოლოგიური ავადმყოფების ფინანსური მხარდაჭერა, მათი რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია საზოგადოებაში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (მკვეთრად გამოხატული) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარებებები, მათ შორის:
 - 100 (ასი) ლარი - სმენა და მხედველობა დაქვეითებული პირებისთვის;
 - 200 (ორასი) ლარი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის და მძიმე ქრონიკული ავადმყოფობის მქონე ბავშვებისთვის;
 - 200 ლარი ონკოლოგიური ავადმყოფებისათვის;
 - 200 ლარი შშმ პირთა შინ მოვლის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ზრუნვის საჭიროების მქონე ონკოლოგიური ავადმყოფებისათვის დახმარებას;
 - 100 (ასი) ლარი განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის მოვლის საზღაურის დაფინანსებას ყოველთვიურად.

- 195.0 ათასი ლარი - წარმოდგენილია ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების თანადაფინანსების პროგრამა. მათ შორის:
 - ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პაციენტების და პერიტონეალური დიალიზის პროგრამაში ჩართული პაციენტების მედიკამენტების ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება, თითოეულს თვეში 50-100 ლარის ოდენობით ადმინისტრაციული ერთეულის სერვისის მიმწოდებელი ცენტრიდან დაშორების გათვალისწინებით;
 - მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოს ბენეფიციარების ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება ყოველთვიურად 25 ლარის ოდენობით;
 - აღდგომის დღესასწაულზე და მიცვალებულთა ხსოვნის დღეს მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა (სასაფლაოებთან მისასვლელად). საზღვრისპირა ადმინისტრაციული ერთეულის ხურჩის მოსახლეობის ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯების თანადაფინანსება;
 - სოციალურად დაუცველი სტუდენტების (სარეიტინგო ქულით 65001-ზე ნაკლები), რომლებიც სწავლობენ მუნიციპალიტეტის საზღვრებს გარეთ, აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება წელიწადში ერთხელ 100 (ასი) ლარის ოდენობით;
 - ახლადგათვალისწინებული ქვეპროგრამა- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების პედაგოგების, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებაზე მყოფი სახელოვნებო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგების, აღმზრდელ-მასწავლებლებისა და ტექნიკური მუშაკების (მიძა, მზარეული, დამლაგებელი და სხვა ტექნიკური პერსონალი) , მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აკრედიტებული სახელმწიფო სასწავლებლების სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯების დაფინანსება.

- 140.0 ათასი ლარი - სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა. ხანძრის, დიდთოვლობის, ქარიშხლის, მიწისძვრის, წყალდიდობის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა, ყოფითი პირობების გაუმჯობესება, ფინანსური და მორალური თანადგომა. უსახლკაროდ დარჩენილთა ბინის ქირით უზრუნველყოფა.

ხანძრის შედეგად დაზარალებული უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ერთჯერადი დახმარება (1000 ლარამდე) საცხოვრებელი სახლის დაზიანების ხარისხის მიხედვით, დიდთოვლობის, ქარიშხლის, მიწისძვრის, წყალდიდობის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე გაიცემა ერთჯერადი დახმარება (1000 ლარამდე). მეწყერის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე-500 ლარი ერთჯერადად. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, უსახლკაროდ დარჩენილი, ყველაზე მძიმე ეკონომიურ პირობებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების(სარეიტინგო ქულა 65001-მდე), ძალადობის მსხვერპლთა, სახლდამწვართა და ზრუნვის სისტემიდან გასული პირების დახმარება ბინის ქირის საფასურის გადახდის მიზნით, თითოეულ ოჯახზე 100 ლარის ოდენობით, შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით.

- 70.0 ათასი ლარი გამოიყოფა - მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვის პროგრამაზე, რომელიც ითვალისწინებს მარჩენალდაკარგულთა ოჯახების მხარდაჭერას. მარჩენალდაკარგულის ოჯახს, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი, ერთჯერადი დახმარების სახით გამოეყოფა თანხა 200 ლარის ოდენობით.
- 40.0 ათასი ლარი - ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმშენებისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისათვის. პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 100 წელს გადაცილებულთათვის ერთჯერადი 500-ლარიანი დახმარებას, მარტოხელა და მარტომცხოვრები ხანდაზმულების შინმშენებას, სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები) ადგილობრივი გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით.
- 75.0 ათასი ლარი - სადღესასწაულო დღეებში დახმარების პროგრამისათვის, რომელიც ითვალისწინებს სადღესასწაულო დღეებში საზეიმო განწყობის შექმნის მიზნით, მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეების (ადგილობრივი და დევნილი), დედ-მამით ობოლ ბავშვების, მარტოხელა მშობლების, მრავალშვილიანი ოჯახების, მზრუნველობამოკლებულთა სასაბავშვო და სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარებისთვის, ასევე, განსაკუთრებით შეჭირვებული ოჯახების მხარდაჭერას სადღესასწაულო დღეებში (შობა-ახალი წელი და აღდგომა) საკვები პროდუქტებით. შშმ პირთა უფლებების დაცვის დღის აღსანიშნავი ღონისძიების ფინანსურ მხარდაჭერას (14 ივნისი, 3 დეკემბერი).

- 30.0 ათასი ლარი - დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე დევნილთა ერთჯერად ფულად დახმარებას 100 ლარის ოდენობით და დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ადგილებში გადაუდებელი კომუნალური საკითხების მოწესრიგებას.
- 110.0 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით უზრუნველყოფის და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მატერიალური და ფინანსური პროგრამა. ზამთრის პერიოდში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობისათვის საჭირო პირობების შექმნის და მხარდაჭერის, ყოფითი პირობების გაუმჯობესებისათვის. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შემთხვევაში ან სანაცვლოდ 100 ლარიანი ფულადი დახმარება (სარეიტინგო ქულა 30 001-ზე ნაკლები). განსაკუთრებით მძიმე სოციალური პირობების მქონე ოჯახები, მრავალშვილიანები, შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები, მარტოხელა მშობლები, მარტოხელა პენსიონერები და ა. შ. ფინანსური მხარდაჭერა წელიწადში ერთხელ განსაკუთრებული საჭიროებისას 100-1000 (ასი-ერთი ათასი) ლარის ფარგლებში, შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით.
- 50.0 ათასი ლარი გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციების და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი თანადაფინანსების პროგრამისთვის. პროგრამა მიზნად ისახავს სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით მოწონებული პროექტების თანადაფინანსებას, ადგილობრივი თვითმართველობისა და საზოგადოებრივი სექტორის თანამშრომლობას. ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური საწარმოების განვითარების ხელშეწყობას. თანადაფინანსების გადაწყვეტილება მოხდება კომისიურად.
- 25.0 ათასი ლარის ოდენობით წარმოდგენილია პროგრამა „სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში“. პროგრამა ითვალისწინებს საცხოვრისის ეზოს კეთილმოწყობას, კომუნალური გადასახადების თანადაფინანსებას (გათბობა) ოთხი თვის განმავლობაში (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი) თვეში 100 (ასი) ლარის ოდენობით, ბენეფიციართა პირად ანგარიშებზე ჩარიცხვით.

სოციალური პროგრამები განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით მიღებული წესის შესაბამისად.

800.0 ათასი ლარის ოდენობით წარმოდგენილია სამედიცინო დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სამედიცინო მომსახურებისა და ძვირადღირებული მედიკამენტების დაფინანსება/თანადაფინანსებას. აღნიშნული პროგრამაც ხორციელდება შესაბამისი კომისიის დებულების მიხედვით საკრებულოს დადგენილებით მიღებული წესის შესაბამისად.

ძვირადღირებული მედიკამენტების დაფინანსება, რომელთა ერთეულის ღირებულება აღემატება 50 (ორმოცდაათი) ლარს - მაქსიმალური ლიმიტი - 150 (ას ორმოცდაათი) ლარი, ონკოლოგიური ავადმყოფებისთვის 250 ლარი . - მოსარგებლები:

სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები);

0-18 წლამდე ასაკის ბავშვები;

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში შშმ) პირები;

ონკოლოგიური ავადმყოფები;

ქრონიკული დაავადებების (ბრონქული ასთმა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, შაქრიანი დიაბეტი, გლავუკომა, გულის იშემიური დაავადება, ეპილეფსია, პარკინსონის დაავადება) მქონე პირები;

ძვირადღირებული გამოკვლევები (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კორონაროგრაფია) - მაქსიმალური ლიმიტი 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი;

სტაციონარული სამედიცინო მომსახურება: ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება წელიწადში ერთხელ.

მოსარგებლები:

მოქალაქეები, რომლებსაც ძვირადღირებული (1000 ლარზე ზევით) ოპერაციის (გარდა ესთეტიური და რეპროდუქტოლოგიური ქირურგიისა) ღირებულება არ უფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის ან რომელიმე კერძო სადაზღვევო პაკეტიდან- მაქსიმალური ლიმიტი 1 000.00 (ერთი ათასი) ლარი (ჯანდაცვის კომისიის გადაწყვეტილებით);

სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები), შშმ პირები, სიმსივნით დაავადებული პირები, პენსიონრები, 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები

მიიღებენ თანადაფინანსებას საყოველთაო ჯანდაცვასთან/ კერძო სადაზღვევო კომპანიასთან 500- დან 2000 ლარამდე 50%. 2000-დან 5000-მდე მაქსიმალური ლიმიტი 1000 ლარი, 5000 ლარზე ზევით მაქსიმალური ლიმიტი 1500 ლარი.

0-18 წლამდე ბავშვების რეაბილიტაცია/აბილიტაცია:

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა 50 ბავშვისთვის. მომსახურების დაფინანსება ყოველთვიურად - 315 (სამას თხუთმეტი) ლარი;

სხვადასხვა სახის გონებრივი ჩამორჩენილობისა და ქცევითი აშლილობის მქონე ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება - მაქსიმალური ლიმიტი 500 (ხუთასი) ლარი, წელიწადში ერთხელ. მოსარგებლეები დიაგნოზით:

დაუნის სინდრომი;

ბავშვთა ცერებრული დამბლა (G-80.0 ; G 80.1; G-80.2 ; G-80.3; G- 80.4; G 80.8 ; G - 80.9);

სხვა პარალიზური სინდრომები (G-81.9; G-82.0 ; G-83.2);

განვითარების ეტაპების დაყოვნება (R-62.0);

იშვიათი დაავადებების (ცელიაკია და ფენილკეტონურია) მქონე პირების სპეციალიზირებული საკვების თანხით უზრუნველყოფა:

ცელიაკია-ყოველთვიურად 250.00 (ორას ორმოცდაათი) ლარი.

ფენილკეტონურია - ყოველთვიურად 500.00 (ხუთასი) ლარი.

ონკოლოგიური დაავადებების სკრინინგი - მოსარგებლეები: სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001 -ზე ნაკლები) შშმ პირები; მარჩენალდაკარგული ბავშვის მშობელი;

პროსტატის სპეციფიურ აგენტზე გამოკვლევა (40-45 წლამდე და 70 წელზე ზევით);

ბუბუს კიბოს სკრინინგი (35-40 წლამდე 60 წელზე ზევით);

საშვილისნოს ყელის კიბოს სკრინინგი (20-25 წლამდე და 60 წელზე ზევით);

მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი (40-50 წლამდე და 70 წელზე ზევით);

ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგი მოსარგებლეები: სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001 -ზე ნაკლები) შშმ პირები; მარჩენალდაკარგული ბავშვის მშობელი; ჭარბი წონის მქონე პირები;

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიური მოვლის საშუალებების (ექსკრემენტის მიმღები კონტეინერი) დაფინანსება - მაქსიმალური ლიმიტი 200.00 (ორასი) ლარი .

საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა წარმოდგენილია 270.0 ათასი ლარის მოცულობით როგორც დელეგირებულ ისე ჯანდაცვის სხვა ღონისძიებებისათვის სახსრების გათვალისწინებით.

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილსაიმედო სანიტარულ-ეპიდემოლოგიური ფონის შექმნა, ეპიდსაწინააღმდეგო პრევენციული ზომების გატარება. მოსახლეობის დაცვა ინფექციური და გადამდები დაავადებისაგან, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, ეპიდსაწინააღმდეგო და იმუნოპროფილაქტიკის ღონისძიებების დაგეგმვა, იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა დამუშავება, ანალიზი, შეფასება, დაზუსტება და ანგარიშგება. პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა, მალარიის სკრინინგული კვლევა, პროფილაქტიკური მკურნალობა , სხვა პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკა, რეკომენდაციების მიწოდება. სანიტარული ღონისძიებების გატარება საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში, სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში.

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარების მისაღები ფულადი დახმარებები და სოციალური გარანტიები ასახულია პროგრამული ბიუჯეტით.

მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია განათლების სფერო.

განათლების სფეროს დაფინანსება პროექტით წარმოდგენილია 6,060.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის ძირითადი არის სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა თანხით 5,000.0 ათასი ლარი, აღნიშნული პროგრამა ემსახურება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში 4,025 აღსაზრდელს. ნიშანდობლივია, რომ სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, წყალგაყვანილობის, სანიტარული კვანძების მდგომარეობის საკითხი ცალკე შესწავლას, კვლევას მოითხოვს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატების, მერის წარმომადგენლების მონაწილეობით აქტიურად უნდა იქნეს დასმული საკითხი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური

მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რაც ბუნებრივია მოსახლეობის საერთო ინტერესებში შედის.

მიგვაჩნია, რომ მუნიციპალიტეტმა აქტიურად უნდა მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკითხებზე შემოთავაზებული და მუნიციპალიტეტის მიერ მოწონებული პროექტების თანადაფინანსებაში, პროექტის განხილვაში შესაბამისი ჩართულობის და მონიტორინგის პირობით.

სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ფუნქციონირების გადასვლა ახალი სტანდარტების შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

ნიშნდობლივია, რომ ქ. ზუგდიდში მიმდინარეობს №2 საბავშვო ბაღის მშენებლობა, აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია ორწლიანი პროექტით სულ 1,168.0 ათასი ლარი, აქედან 1 ნოემბრის მდგომარეობით შესრულებული სამუშაოების მიხედვით გამოყოფილია 241.2 ათასი ლარი. წლის ბოლომდე სავარაუდოდ შესრულებული იქნება ნახევარი მილიონი ლარის ღირებულების სამუშაოები.

საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა პროექტით გათვალისწინებულია 100.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც მიიმართება საჯარო სკოლებში მცირე მოცულობის მიკრო-პროექტების განსახორციელებლად. ხოლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად თანხების გამოყოფა მოხდება ცენტრალური ბიუჯეტის სახსრებით განათლების სამინისტროსთან შეჯერებული პროექტების საფუძველზე.

10.0 ათასი ლარი პროექტით გათვალისწინებულ იქნა შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური ხელშეწყობისათვის.

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების და ბავშვთა ხელშეწყობის პროგრამა წარმოდგენილია 50.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელი, გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების მატერიალურ და მორალურ წახალისებას.

სკოლისგარეშე სწავლების და სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა პროექტით წარმოდგენილია 900.0 ათასი ლარის ოდენობით. პროგრამა ხორციელდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის №1 და №2 სამუსიკო, საგუნდო-სამუსიკო და სამხატვრო სკოლების ბაზაზე. პროგრამის მიზანია სკოლისგარეშე მუშაობის წარმართვა მოზარდებსა და ახალგაზრდებში, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, სწავლება და წარმოჩენა სხვადასხვა ჟანრში: შემეცნებითი, ტექნიკური, სახელოვნებო, კულტურული, მუსიკალური, ინტელექტუალური, ხალხური და სხვა მიმართულებებით. მონაწილეობის მიღება ადგილობრივ და საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში, სხვადასხვა სახის ორგანიზებულ ღონისძიებებში.

კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებებისათვის პროექტი ითვალისწინებს 3,310.0 ათასი ლარის გამოყოფას.

სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა მთლიანობაში წარმოდგენილია 1,310.0 ათასი ლარის ოდენობით. აქედან: 1,160.0 ათასი ლარი გათვალისწინებულია სპორტის განვითარების ცენტრის ხელშეწყობისათვის, 80.0 ათასი ლარი კი სპორტული ღონისძიებებისათვის.

მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის მიზანია სპორტის სახეობების განვითარება - პოპულარიზაცია; სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების მომზადება და საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, ოლიმპიური შეჯიბრებები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები) მონაწილეობის მიღება; საერთაშორისო ტურნირებში წარმატებების მოპოვება; მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება; ბავშვთა და მოზარდთა შორის თავისუფალი დროის სწორად გამოყენება; მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სტიმულირება და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტული ობიექტების კონკურენტუნარიანობის ამაღლება; ფიზიკური ვარჯიშების სრულყოფა და ფიზიკური კონდიციების ამაღლება; სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია; თანამედროვე სპორტული ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზების შექმნა; სპორტის სფეროში მოღვაწე დამსახურებულ მუშაკთა და მწვრთნელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

სპორტული ღონისძიებების დაფინანსების კუთხით მთავარ მიმართულებას წარმოადგენს სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია. პროგრამა მოიცავს სპორტული ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაციას, სპორტსმენთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობას, ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ დაგეგმილ ტურნირებში ადგილობრივ სპორტსმენთა ჩართულობის გაზრდას, სპორტის ექსტრემალური სახეობების განვითარებას, სპორტის ეროვნული სახეობების დანერგვა-პოპულარიზაციას, სპორტსმენთა წვრთნისა და გადამზადების ხელშეწყობას, ვეტერან სპორტსმენთა მიღწევების პოპულარიზაციას, სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობას და პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენას, გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოებას, შეჯიბრებების ჩატარების ხარისხის გაუმჯობესებას, სტიპენდიების დანიშვნას, ჩატარებული ღონისძიებების ეკრანიზაციას, ფოტოსტენდების მოწყობას, სპორტსმენთა რესპუბლიკურ და საერთაშორისო შეჯიბრებებზე ეკიპირებას, მათი საჭირო სპორტული ინვენტარითა და საქონლით აღჭურვას.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ყინულის მოედნის რეაბილიტაცია მიმდინარეობს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით. სარეაბილიტაციო კაპიტალური სამუშაოები მთავრდება და საექსპლუატაციოდ მზად იქნება 2019 წლის დასაწყისისათვის. ვინაიდან მისი სტაბილური ფუნქციონირება უკავშირდება დიდი მოცულობის თანხების გამოყოფას, არსებული ადგილობრივი ფინანსური რესურსები ამ ეტაპზე არ იძლევა საჭირო ასიგნებების გათვალისწინების შესაძლებლობას 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე მერია აპირებს განახორციელოს სათანადო ღონისძიებები მომავალი საბიუჯეტო წლის განმავლობაში ფინანსური რესურსების ალტერნატიული წყაროების მოძიებისა და მათი მობილიზაციისათვის, პირველ ეტაპზე ყინულის მოედნის ლოკალური მასშტაბით ფუნქციონირების დაწყებისათვის.

ცნობილია, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს გრანდიოზული ცენტრალური სტადიონის მშენებლობა. დამთავრებულია მშენებლობის პირველი და მეორე ეტაპი, რაზედაც მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერებით მიიმართა 10,000.0 ათას ლარამდე. სტადიონის ფუნქციონირების დაწყებისათვის აუცილებელია მესამე ეტაპის სამუშაოების ჩატარება, რაც მოითხოვს სავარაუდოდ 8-9 მილიონ ლარს. მერია აღნიშნულ საკითხზე თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან და მომდევნო პერიოდში გამოყოფილი იქნება საჭირო ოდენობის კაპიტალური ტრანსფერი. აღნიშნული ობიექტის მშენებლობის დასრულების შემდეგ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში იფუნქციონირებს უეფას სტანდარტების შესაბამისი საფეხბურთო სტადიონი თანმდევი სხვა სპორტული ინფრასტრუქტურით.

70.0 ათასი ლარით წარმოდგენილია ახალგაზრდული და გენდერული პროგრამების დაფინანსება რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლებას, მათი კულტურული და პიროვნული თვისებების განვითარებას, ახალგაზრდული თვითმმართველობის ჩამოყალიბებას სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ამ მხრივ ერთ-ერთი პრიორიტეტია „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული ასამბლეის“ ჩამოყალიბება, რომლის მთავარი მიზანია მოსწავლეთა ჩართვა სოციალურ - პოლიტიკურ ცხოვრებაში და საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ პროექტის ფარგლებში მოხდება ისეთი გარემოს შექმნა, სადაც თითოეულ ახალგაზრდას ექნება განვითარების მრავალმხრივი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, ქვეყნისთვის სასარგებლო პიროვნებად ჩამოყალიბების შესაძლებლობა.

გენდერული თანასწორობის მიმართულებით, აკადემიური და გამოყენებითი კვლევების საფუძველზე შესწავლილ იქნება გენდერული თანასწორობის საკითხები. გენდერული თანასწორობის საბჭოსთან ერთად მოხდება პრობლემების ანალიზი და შემუშავდება ამ მიმართულებით განსამტკიცებელი აუცილებელი პოლიტიკის

მოდელები, მოხდება იმ წინააღმდეგობათა იდენტიფიკაცია, რომელიც ხელს უშლის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას მუნიციპალიტეტში.

კულტურული ღონისძიებათა პროგრამისათვის პროექტი ითვალისწინებს 200.0 ათასი ლარის გამოყოფას.

პროგრამის მიზანია სადღესასწაულო ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება, ადგილობრივი, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ -შემოქმედებითი საღამოების, გამოფენა-გაყიდვების, კონცერტების დაგეგმვა და ორგანიზება, ხელოვნების (სამუსიკო, საგუნდო, სამხატვრო) სკოლების, თეატრის, კლასიკური და საესტრადო მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი ხელოვნებისა და ხალხური ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა. ადგილობრივი თეატრის ხელშეწყობის მიზნით, თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტთა დაფინანსება, სხვადასხვა მუსიკალური ანსამბლების მოწვევა, ხელოვანთა საღამოების და საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, სახელოვნებო კონკურსების ჩატარება. შემოსული მცირე პროექტებისა და ინიციატივების ხელშეწყობა. საქართველოს კულტურის, განათლებისა და სპორტის სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების მომზადება.

კულტურის ძეგლების მოვლა შენახვის პროგრამა პროექტით წარმოდგენილია 50.0 ათასი ლარის ოდენობით, პროგრამა ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლის და შენახვის, არქეოლოგიური გათხრების და ექსპედიციების მოწყობის ღონისძიებებს, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების საძიებო ექსპედიციების ჩატარებას, კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაციას, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების საადაპტაციო სამუშაოების შესრულებას, ექსპოზიცია-გამოფენებს, შემეცნებითი ხასიათის ექსკურსია ლაშქრობების მოწყობას, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ წიგნი-გზამკვლევის გამოცემას და სხვა ღონისძიებებს.

100.0 ათასი ლარი გათვალისწინებულია რელიგიის ხელშეწყობის პროგრამისთვის, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა კონფესიების პატივისცემის ხელშეწყობას, მატერიალურ ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებებს.

საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა პროექტით წარმოდგენილია 560.0 ათასი ლარის ოდენობით. პროგრამის მიზანია საბიბლიოთეკო მომხმარებლების საინფორმაციო და წიგნით მომსახურების უზრუნველყოფა; ბიბლიოთეკების როლის ამაღლება საზოგადოების ინფორმირებულობის, მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ინტელექტუალური ზრდის საქმეში; ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის მიერ საქალაქო და სასოფლო ბიბლიოთეკებთან ერთად კულტურულ-

საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება, შემოქმედებითი საღამოების და წიგნის კვირეულების მოწყობა, ახალი წიგნების საზოგადოებისთვის წარდგენა და განხილვა, შემეცნებითი ღონისძიებების ჩატარება; წიგნადი ფონდის შევსება, დაკომპლექტება, აღრიცხვა; მხარეთმცოდნეობით ბიბლიოგრაფიაზე მუშაობა და ციფრული ბიბლიოთეკის შექმნა; ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა, ელექტრონულ საინფორმაციო სივრცეში აკადემიური ინფორმაციის განთავსება; საბიბლიოთეკო კადრების უწყვეტ განვითარებაზე ზრუნვა და მომხმარებლებისთვის გაუმჯობესებული სერვისების შეთავაზება; ბიბლიოთეკებსა და სკოლებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, ადრეული ასაკიდან ბავშვებთან მუშაობა; ბიბლიოთეკების გადაქცევა საინფორმაციო-საგანმანათლებლო ცენტრად, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლებას. გათვალისწინებულია საბავშვო ჟურნალის გამოცემის უზრუნველყოფა, რომელიც ბიბლიოთეკის სერვისით მოსარგებლე შემოქმედ ახალგაზრდებს თავიანთი შემოქმედების გავრცელებისა და პოპულარიზაციის საშუალებას მისცემს.

პროექტით წარმოდგენილია ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსება 960.0 ათასი ლარის ოდენობით. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრისთვის პრიორიტეტულია კულტურის ხელშეწყობის გაზრდა, ადგილობრივი ხელოვანებისათვის საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის ხელშეწყობა, კულტურულ ცხოვრებაში შშმ პირთა ჩართულობის უზრუნველყოფა, საზოგადოების მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერა და კულტურული ღონისძიებების წესით შერჩევა, ასევე სახელოვნებო ნიჭით დაჯილდოებული პირების გამოვლენა, ღვაწლმოსილი ხელოვანი ადამიანების წარმოჩენა და პოპულარიზაცია. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოქმედი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების, ხალხურ საკრავთა შემსწავლელი ჯგუფების შემოქმედებითი მხარდაჭერა და აქტივობების განვითარება.

ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის სტრუქტურული ნაწილების საქმიანობის პროფილი და მიმართულებებია:

- მაცი ხორავას სახელობის სამხატვრო გალერეა ხელოვნების ნიმუშების, სხვადასხვა მხატვრების ექსპოზიციების გამოფენა; სახელოვნებო ჟანრის ღონისძიებების ჩატარება;
- მოყვარულთა თეატრი „ჩხორია“: მოქმედი დრამატული წრე აქტიურად აწყოფს პრემიერებს და სპექტაკლებს. ეს არის ერთი სოფლის კულტურის სახლი, რომელიც ხელს უწყობს სამოყვარულო თეატრალური ხელოვნების განვითარებას.
- მუნიციპალური ადგილობრივი მუზეუმები: ისინი როგორც კულტურულ - საგანმანათლებლო სერვისები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ახალგაზრდებში ცოდნის ინტერესების გასაღვივებლად, ზოგადად ეროვნული ფასეულობებისა და ჩვენი კულტურული მემკვიდრეობისადმი. აქ

წარმოდგენილი ექსპონატები, მაღალ ინტერესს იწვევს ქალაქში ჩამოსულ, ჩვენი ისტორიითა და ეთნოსით დაინტერესებულ სტუმრებში.

- ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრში ჩამოყალიბებულია სახელოვნებო წრეები, სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფები და ანსამბლები. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ფოლკლორულ ფესტივალებსა და კონკურსებში მონაწილეობის მიღება. გასტროლები ქვეყნის შიგნით და უცხოეთში, გასვლითი კონცერტები სამეგრელოს რეგიონში და მუნიციპალიტეტის სოფლებში.
- გამოყენებითი და ხალხური რეწვის ოსტატების ხელშეწყობის ქვეპროგრამა, მიზნად ისახავს ხალხური შემოქმედების განვითარებას და მის პოპულარიზაციას. ხალხური რეწვის ნიმუშების მოძიებას, მოპოვებას, ფიქსაციას. რეწვის ოსტატების ნამუშევრების ფართო მასებისთვის გაცნობას და რეალიზაციას.

პროექტების განხორციელებით შესაძლებელია შემოქმედებითი კოლექტივების სოციალური პირობების გაუმჯობესება, რეპერტუარის გამდიდრება, სამემსრულებლო ხელოვნების ხარისხის ამაღლება, მსმენელთა რაოდენობის ზრდა, საზოგადოების აქტიური ჩართვა შემოქმედებით პროცესებში.

ტელერადიომუზიკულობისა და საგამომცემლო საქმიანობისათვის პროექტი ითვალისწინებს 70.0 ათასი ლარის გამოყოფას. აღნიშნული პროგრამის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოსახლეობის ჩართულობის გასაზრდელად მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება; საგანმანათლებლო, ისტორიული, მემუარული, საცნობარო და სხვა სახის საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა; წიგნების, ბროშურების, საინფორმაციო ბუკლეტების გამოცემა. საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის თემატურად მნიშვნელოვანი მასალების გაცნობის ხელმისაწვდომობის გაზრდა. საზოგადოების მხრიდან წარმოდგენილი მასალების, მოწოდებული წინადადების ანალიზი, შეფასება და გათვალისწინება მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. მუნიციპალიტეტისათვის აქტუალურ გამოცემათა დაფინანსების უზრუნველყოფა. ნორმატიული აქტების გამოქვეყნება საკანონმდებლო მაცნეში.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი უჭირავს მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნისა და ინფრასტრუქტურის ღონისძიებებს და პროგრამებს.

პროექტით ამ სფეროში 2019 წლისათვის გათვალისწინებულია 13,716.1 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული თანხიდან მნიშვნელოვანი ნაწილის 8,000.0 ათასი ლარის მიმართვა გათვალისწინებულია დასუფთავებისა და კეთილმოწყობის პროგრამებზე. აქედან დასუფთავების პროგრამა პროექტით წარმოდგენილია 4,000.0 ათასი ლარის ოდენობით. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის

ეკოლოგიურად სუფთა, ჯანსაღი გარემოს უზრუნველსაყოფად ქალაქისა და სოფლის 48 ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვას, ცენტრალური ტერიტორიების, სკვერების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დაგვა-დასუფთავებას, სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაციას, ასევე მოსახლეობიდან, სახელმწიფო, კომერციული დაწესებულებებიდან მყარი ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებას და განთავსებას ნაგავსაყრელში.

ტერიტორიის კეთილმოწყობის პროგრამა პროექტით წარმოდგენილია 4,000.0 ათასი ლარის ოდენობით. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მთლიანი ტერიტორიის იმ ღონისძიებებსა და სამუშაოების ერთობლიობას, რომელიც მიმართულია მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი, უსაფრთხო და სასიკეთო გარემოს შესაქმნელად. კეთილმოწყობის პროგრამა მოიცავს პარკების, სკვერების, ბულვარების, საჯარო სარგებლობის ტერიტორიების, სანიტარული ზონების მოვლა-პატრონობასა და შენახვას. წყალშემკრები არხების მოწყობას და არსებულის მოვლა-შენახვას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის იერსახის გაუმჯობესებას და სადღესასწაულო დღეებში მორთვას. კეთილმოწყობის პროგრამისათვის გამოყოფილ თანხებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს გარე განათების მოხმარებული ენერჯის საფასურის გადახდას, რომელიც 1,500.0 ათას ლარამდეა. ამასთან აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებულია ეკო-ნათურების შესყიდვა ორწლიანი პროგრამით, რომელიც შემდგომ წლებში მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურს მნიშვნელოვნად შეამცირებს.

კეთილმოწყობის პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სასაფლაო მეურნეობის მოწყობას, მოვლა-პატრონობას, შემოღობვას, სასაფლაოს ტერიტორიაზე გადაბერებული ხეების მოჭრას, უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვას. გამწვანების და განათების სამუშაოებს.

საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოსაყოფი თანხების და მუნიციპალური განვითარების ფონდიდან განსახორციელებელი მნიშვნელოვანი პროექტის - ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციის თანხის თანადაფინანსებისათვის გათვალისწინებულია 2,600.0 ათასი ლარი.

საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან სხვადასხვა, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად სავარაუდოდ გამოსაყოფი თანხების (10-15 მილიონი ლარის ფარგლებში) გათვალისწინებით, შედარებით მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის საკუთარი ბიუჯეტით გამოიყოფა:

- 700.0 ათასი ლარი გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის. მათ შორის 400.0 ათასი ლარი მიმართული იქნება ქალაქის შიდა გზების რეაბილიტაცია-შეკეთებისათვის, 300.0 ათასი ლარი 48 ადმინისტრაციულ ერთეულში გზების რეაბილიტაცია-შეკეთებისათვის;

- 100.0 ათასი ლარი გათვალისწინებულია ნარაზენის, შამადელას, ორსანტის, ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულებში ავარიული ხიდების რეაბილიტაციისათვის;
- 250.0 ათასი ლარი სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის; ქალაქის რუსთაველის, კუშკინის, თამარ მეფის, ტოლსტოის ქუჩებსა და სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულებში;
- 100.0 ათასი ლარი არასასოფლო მიწების საკადასტრო ნახაზების შესადგენად და ქონების შეფასებისათვის;
- 330.0 ათასი ლარი- გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციისათვის;
- 170.0 ათასი ლარი - მრავალსართულიანი სახლების ამხანაგობათა ხელშეწყობის პროგრამისათვის;
- 586.0 ათასი ლარი მოხმარდება სამშენებლო ზედამხედველობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის ხარჯებს.

300.0 ათასი ლარი გათვალისწინებულია ა.(ა).იპ ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამისათვის. როგორც ცნობილია ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი არის უნიკალური ისტორიული მემკვიდრეობის მქონე კულტურის ძეგლი. ამჟამად მიმდინარეობს ბაღის რეაბილიტაციის 11 მილიონზე მეტი ღირებულების საინვესტიციო პროექტი. აღნიშნული პროექტის დასრულების შემდგომ, განახლებული ბოტანიკური ბაღი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ტურისტული პოტენციალის ამაღლებას, ბაღი იქნება დასვენებისა და კულტურის კერა როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ისე ჩამოსული სტუმრებისათვის, ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციის პროექტის დამთავრების შემდეგ ბაღის შენახვის და ადმინისტრაციის ხარჯები გაცილებით მეტია საჭირო , რისთვისაც სასურველი იქნება საკუთარი შემოსავლების მოზილიზაცია.

აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურის ხაზით მნიშვნელოვანი მოცულობის პროექტების განსახორციელებლად რეგიონალური ფონდებიდან გამოსაყოფი თანხების და მიკრო-პროექტებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების გარდა მუნიციპალიტეტი ელოდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის აღდგენის შედეგად თანხებს, რომელიც 48 ადმინისტრაციულ ერთეულში განაწილდება ხვედრითი წილის მიხედვით თანაბარზომიერად და მოსახლეობის ჩართულობით და საჭიროებათა გათვალისწინებით უზრუნველყოფს არაერთი მიკრო-პროექტის განხორციელებას.

მთლიანობაში ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის თანხა 2018 წელს გათვალისწინებულ თანხას აღემატება 320.0 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის გათვალისწინებულია:

- 220.0 ათასი ლარი შპს „აგროსერვისის“ ფინანსური ხელშეწყობისათვის. პროგრამა ითვალისწინებს: მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის, ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას, მემცენარეობის და მეცხოველეობის საპილოტე პროგრამების მეშვეობით, მომდევნო წლებში პროგრამების გაფართოება და საკუთარი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება, როგორც ადგილობრივ მომხმარებელზე, ისე გატანა ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მომდევნო საშუალო ვადიანი პერიოდისთვის სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მცირე და საშუალო საწარმოების ასამოქმედებლად შესაბამისი ბაზის მომზადება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მოზარდი ტყის ფართობების, ქარსაფარი ზოლების, მრავალწლიანი ნარგავების, ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებსა და გზების გასწვრივ არსებული მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვას.
- 100.0 ათასი ლარი შპს მუნიციპალური ტრანსპორტისთვის. მუნიციპალური ტრანსპორტის ფინანსური ხელშეწყობა ითვალისწინებს მოსახლეობის სოციალურ დაცვას საწვავი მასალებისა და მარაგნაწილების ფასების ზრდის პირობებში მგზავრობის ღირებულების გაძვირების ფაქტორისაგან. ეს პირდაპირ უკავშირდება მუნიციპალური ტრანსპორტის ფინანსური დანახარჯების და შემოსავლების თანაფარდობით მოსალოდნელი ზარალის ბიუჯეტის სახსრებით ნაწილობრივ დაფარვას.
- 300.0 ათასი ლარი შპს "ANAKLIA-GANMUKHURIS RESORTS" ხელშეწყობისთვის. პროგრამის მიზანია არსებული ინფრასტრუქტურის ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა. განხორციელდება ზღვის სანაპირო ზოლში ხელოვნური საფარის, ქვიშის მოედნების, ამფითეატრის კაპიტალური შენობის, ქვიშის მოედნების, შადრევნების, საშხაპეების და სხვა ქონებრივი აქტივების კეთილმოწყობა და რეაბილიტაცია, ჩატარდება არსებული გამწვანების ზოლის მოთიბვის, სხვადასხვა ხე-მცენარეების გასხვლის, შეწამვლის და შესაბამისი მინერალებით კვების სამუშაოები. ასევე განხორციელდება ელექტრო გაყვანილობის ქსელების, ელექტრო მოწყობილობების, სხვადასხვა ტიპის სანათების, განათების ბოძებისა და მინათების საშუალებების მოვლა-პატრონობა და სწორი ექსპლოატაცია.

აღნიშნული თანხები დასახელებული შპს-ების გამართული ფუნქციონირებისათვის რა თქმა უნდა არასაკმარისია, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ შპს-ები კარგ შემთხვევაში ორიენტირებული უნდა იყვნენ მოგებაზე და იმის გათვალისწინებით, რომ ბიუჯეტს არა აქვს მეტი შესაძლებლობები, ვითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მუნიციპალიტეტის დაფუძნებულმა შპს-ებმა უნდა უზრუნველყონ სამეწარმეო საქმიანობით შემოსავლების მობილიზაცია ეტაპობრივად, იმ ნიშნით, რომ ორიენტირებული იყვნენ მოგებაზე და დივიდენდები უნდა შემოვიდეს შესაბამის ბიუჯეტში.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს შესანახი ასიგნება 2018 წელს დაგეგმილ თანხებთან შედარებით მცირდება 488.7 ათასი ლარით, მათ შორის მერიისა და 48 ადმინისტრაციული ერთეულის შესანახი ხარჯები 468.7 ათასი ლარით, ხოლო საკრებულოს შესანახი ხარჯები 20.0 ათასი ლარით. აღნიშნული ოდენობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება. პროექტით საკრებულოს შესანახი ასიგნება გათვალისწინებულია 1 300.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო მერიისა და 48 ადმინისტრაციული ერთეულის შესანახი ხარჯები 6 300.0 ათასი ლარის ოდენობით.

სარეზერვო ფონდი პროექტით იგეგმება 150.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებშია.

ბიუჯეტის გადასახდელებში 893.9 ათასი ლარი შეადგენს ვალდებულებების თანხას, რომელიც წარმოშობილია გასულ წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასესხო ვალდებულებებით განხორციელებული მუნიციპალური საინვესტიციო ქვეპროექტების (ქ. ზუგდიდში გამარჯვების, ნეკრასოვის, აფაქიძის, წითელი ჯვრის, ხუბულავას და სხვა ქუჩების ქვეპროექტები, კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროექტი, ნაგვის მანქანების და ნაგვის კონტეინერების მოწოდების ქვეპროექტი) მიხედვით 2019 წელს გადასახდელი თანხით.

თავდაცვის ღონისძიებებზე - წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის, მიწერის და გაწვევის ორგანიზებისათვის პროექტით გათვალისწინებულია 200.0 ათასი ლარის გამოყოფა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია ზემოხსენებული სახით 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შემთხვევაში უზრუნველყოფს ბიუჯეტის აღსრულებას ყველა ფინანსური პარამეტრის და კანონმდებლობის შესაბამისობით.

გთხოვთ წარმოდგენილი პროექტის განხილვას და დამტკიცებას.

პატივისცემით,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელი

/მაიზერ ნანავა/

2018 წლის 7 დეკემბერი